საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაღუფლო

იაღუფლო, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის დმანისის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1360 მ, დმანისიდან 3 კმ, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 კმ. 478 მცხ. (2014).

სოფელში მდებარეობს ფეოდ. ხანის ნამოსახლარი, სამაროვანი და ეკლესია (ამჟამად მცირე ნაშთია შემორჩენილი).

აქვე აღმოჩნდა ვარდისფერი მთლიანი ტუფისგან დამზადებული V–VIII სს. სარკოფაგი. სახურავზე შიდა მხრიდან ამოკვეთილია ტოლმკლავა ბოლნური ჯვარი.

მ. კოპალიანი